

მემორანდუმი

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასა
და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის
შესახებ

ქ. ქუთაისი 15 სექტემბერი 2014 წელი

მემორანდუმზე ხელმომწერი მხარეები:

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (შემდგომში მემორანდუმის ტექსტის მიხედვით - სკოლა) წარმოდგენილი მისი დირექტორის, ქეთევან ჯაყელის სახით და, მეორე მხრივ, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში მემორანდუმის ტექსტის მიხედვით - უნივერსიტეტი), მისი რექტორის, პროფესორ გიორგი ღავთაძის სახით, ხელმძღვანელობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. ურთიერთთანამშრომლობის მიზანი

მხარეები აფორმებენ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს საგანმანათლებლო და პროფესიულ საკითხებში ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების მიზნით.

მუხლი 2. განსახორციელებელი ღონისძიებები

2.1. მხარეები თანხმდებიან ერთობლივად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

- ა) ერთობლივი კონფერენციების, სემინარების, საკვალიფიკაციო კურსების, საზახულო სკოლების და პრაქტიკული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ორგანიზება;
- ბ) ორივე მხარისთვის საინტერესო დარგებში ინფორმაციის, მასალებისა და კვლევითი პუბლიკაციების გაცლა;
- გ) საერთაშორისო პროექტებში ერთობლივი მონაწილეობა;
- დ) ერთობლივი კვლევების ორგანიზება და სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა;

2.2. მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის:

უნივერსიტეტი შესაძლებლობის ფარგლებში:

- აქტიურ მონაწილეობას მიიღებს სკოლის აკადემიური საბჭოსა და მრჩეველთა საბჭოს საქმიანობაში;
- გამოჰყოფს ფართს ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის;
- უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო ინიციატივებს შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური კადრით;

სკოლა შესაძლებლობის ფარგლებში:

- აწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტს სკოლაში მიმდინარე სიახლეების შესახებ;
- უზრუნველყოფს ერთობლივ პროექტებს მაღალკვალიფიციური კადრით.

ორმხრივი თანამშრომლობის საკითხების კოორდინაციისა და სამუშაო გეგმების მომზადების მიზნით, მხარეები განსაზღვრავენ პასუხისმგებელ პირებს;

მუხლი 3. ურთიერთთანამშრომლობის პრინციპები

თანამშრომლობა მხარეების შორის განხორციელდება ურთიერთთანასწორობის პრინციპების დაცვით. თითოეული მხარის კოორდინატორი დაამუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმას.

მუხლი 4. ფინანსური საკითხები

მემორანდუმი არ ითვალისწინებს მხარეებს შორის რაიმე სახით და/ან ფორმით ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას, თუ სხვა რამ არ იქნა დადგენილი მხარეთა შორის დამატებითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. სადავო საკითხები

ამ მემორანდუმის ინტერპრეტაციისა და განხორციელებისას მხარეებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 6. შესწორებები და დამატებები

მხარეებს შეუძლიათ, ორმხრივი თანხმობის საფუძველზე, შეიტანონ შესწორებები ამ მემორანდუმში, რომლებიც გაფორმდება ცალკე შეთანხმების სახით და ძალაში შევა იმავე წესის შესაბამისად, რომელიც დადგენილია ამ მემორანდუმის ძალაში შესვლისათვის. შეთანხმება იქნება ამ მემორანდუმის განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 7. მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მანამ, სანამ ერთერთი მხარე არ მოითხოვს მის შეწყვეტას.

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის
ადმინისტრირების სკოლა

საქართველო, 4600

ქ.ქუთაისი, ნიკეას ქ. № 13

ტელ/ფაქსი.: (0431) 232 600

ელ-ფოსტა: k.jakeli@zspa.ge

ვებ-გვერდი: www.zspa.ge


ქეთევან ჯაყელი

(დირექტორი)

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო
სახელმწიფო უნივერსიტეტი


საქართველო, 4600

ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. № 59

ტელ.: (0431) 242 173

ელ-ფოსტა: george.gavtadze@atsu.edu.ge

ვებ-გვერდი: www.at-su.edu.ge


გიორგი ლავთაძე

(რექტორი)